

# ეგოჩ პარიზი და სხვები

## სცენები

მოძღვილი პირნი

ეგოჩ ბულინვა  
ქსენი — მისი ცოლი,  
ვარგარა — მათი ქალი.  
ბლექსანდრა — უკანონო შვილი.  
მელინა — ილუმენია, ცოლისდა,  
ზვონიოვა — ვარგარას ქმარი,  
ტიატინა — მისი ბიძაშვილი,  
მოკეი ბაშკინი.  
ვასილი დოსტიგავევი.  
ელიზავეტა — მისი ცოლი.  
ანტონინა. { ბულინვას შვილები პირველი ცოლისაგან,  
ბლექსი  
პავლინი — მდვდელი.  
ეჭიმი.  
მებუკი.  
ზაბუნოვა — ექიმბაშია  
პროპოტეი — ნეტიარე.  
გლიფირა — მოახლე.  
ტაისა — მელანიას მოახლე.  
მოკრისოვა — პოლიციელი.  
ვაკოჩ ლაპტევი — ბულინვას ნათლული.  
დონიტი — მეტყველი:

## მოქმედი პირველი

სასაღილო ოთახი მდიდარი ვაჭრის სახლში. ავეჯი დიდი და ტლანქი. ფართო ტყავგადაქრული ტახტი, მის გვერდით მეორე საჩოულზე მავალი კიბე, მარჯვენა მხარეს ბაღში გასასკლელია. ზომორის მოწმენდილი დღეა. ქსენია მაგიდას უზან და ჩინი ჭურქელს რეცხას. გლაფირა გასასკლელში ყვავილებს დასტრიალებს თავის. შემოლის ალექსანდრა, მხრებზე ხალათი წამოუსხმას და ფეხსაცემები შეშველ ფეხებზე იცია. თბილაუკარცხნელია, ეგორ ბულინვით წითელ თმიანია.

ქსენია — ოპო, შურქა, გძინავს...

შურა — ნუ სისინებ, ვერაფერს გიშველის. გლაშა, ყავა მოიტა გაშეთი სადაა?

გლაფირა — ვარვარა ეგოროვნას ავუტანე ზევით.

შურა — მოიტანე. მთელი სახლისათვის ერთი გაშეთი გამოსწერეს ეშმაკის კერძებმა.

ქსენია — ვისზე ამბობ — ეშმაკის კერძებიო.

შურა — მამა შინაა?

ქსენია — დაჭრილებთან წავიდა. ეშმაკის კერძები ზვონცევები არიან?

შურა — პო, ეგენი არიან. (მიდის ტელეფონთან). ჩვიდმეტი — სამოცდასამი.

ქსენია — აი, ნახავ, ვეტყვი ზვონცოვებს, რა პატივისცემით იხსენიებ იმათ.

შურა — დაუძახეთ ტონიას!

ქსენია — ნახავ, სადამდე მიგიყვანს ეგ შენი ხასიათი!

შურა — შენა ხარ, ანტონინა? გავწიოთ თხილამურებზე? არა? რატომ? სპექტაკლი? უარი თქვი! იიპ, შენ კი რა გითხრა, ძალა ქვრივო!.. კარგი; კარგი.

ქსენია — ეგ როგორი საქმეა, ქალიშვილ ქალს ქვრივს ეძახი?

შურა — საქმრო მოუკვდა თუ არ მოკვდომია?

ქსენია — რაც უნდა იყოს, მაინც ქალიშვილია.

შურა — თქვენ საიდან იცით?

ქსენია — ფური, შე უსირცხვილო!

გლაფირა — (შემოაქვს ყავა). გაშეთი ვარვარა ეგოროვნა თვითონ მოიტანს.

ქსენია — შენი ხნის ქალმა მაგდენი არ უნდა იცოდე. არ ვაგიგონია, ცოდნა ნაკლები — ძილი მეტიო. შენი ხნის რომ ვიყავი, სულაც არაფერი ვიცოდი...

შურა — თქვენ ახლაც...

ქსენია — ფური შენ!

შურა — აი ჩემი დაც მობრძანდება დარბაისლურად. ბონურ, მადამ! კომან სა ვა?

გარვარა — უკვე თერთმეტი საათია და შენ არც ჩიგიცვამს, არც თმა დაგრეარცხია...

შურა — დაიწყო.

გარვარა — თავს მეტისმეტად გაგიციდა, რომ მამა განებივრებს. მამის უქიიფობასაც კარგად იყენება.

შურა — დიდი ხნით მოიმართე?

ქსენია — მამის ჯანს ეგ რას დაეძებს.

გარვარა — ერთი უნდა კუთხერა შენი ამბავი...

შურა — წინასწარ მადლობა მომისხენებია. გათავდა?

გარვარა — სულელი ხარ!

შურა — აი მჯერა სულელი მე კი არ ვარ...

გარვარა — წითურო სულელო!

შურა — ვარვარა ეგოროვნა, სულ ტყუილად იხარჯებით!

ქსენია — მოდი და ასწავლე ახლა ამას რამე.

შურა — და ხასიათიც თანდათან გიფუჭდება.

გარვარა — კარგი, კარგი, ჩემო კეთილო! დედილო, სამზარეულოში წავიდეთ, მზარეული რალაცის ჭირვეულობს.

ქსენია — ვერაა თავის ჭკაზე, შეილი მოუკლეს.

გარვარა — ეგ რა ჭირვეულობის მიზეზია! ახლა იმდენს კლავენ...

(გავიდნენ)

შურა — აბა ერთი მაგისი ლამაზი ანდრიუშა ჩაეკლათ სადმე, ვნახავდი რას აფაფხურდებოდა.

გლაფირა — ტყუილად აბრაზებთ მაგათ. ჩქარა მიირთვით ყავა, უნდა ივალაგო. (გადის, სამოვარი გააქვს).

1 კომან სა ვა — როგორ გიყითხოთ? (ურანგული).

შურა ზის, სკაშის საზურგეს მიყრლნობილი, თვალები დაბუცული იქვს, ხელა-  
ბი წითურ და გაჩერილ თავზე შემოუდევია).

ზორნ ცოვი — (კიბილან მიეპარება შურას და ხელს მოხვევს). რას  
ოცნებობ, წითელო?

შურა — (თვალს არ ახელს, არც გაინძრევი). ხელს ნუ მახლებთ.

ზორნ ცოვი — რატომ? ხომ გსიამოვნებს? თქვი, ხომ ასეა?  
გსიამოვნებს?

შურა — არა.

ზორნ ცოვი — რატომ?

შურა — დამეხსენით. თავს ნუ იყატუნებთ, მე თქვენ არ მოგ-  
წონეართ.

ზორნ ცოვი — გინდა კია მომწონდე, არა? (კიბეზე ვარვარა გ-  
მოჩნდება).

შურა — თუკი ვარვარა გაიგებს...

ზორნ ცოვი — ჩუმად... (მოშორდება, ამბობს ჰქუის სწავლებით),  
ჰო... თავს ძალა უნდა დაატანო, უნდა ისწავლო...

ვარვარა — მაგას თავხელობა ურჩევნია და ანტონინასთან  
ერთად საპნის ბუშტების გაშვება...

შურა — ეგრე იყოს... მიყვარს ბუშტების გაშვება. შენ რა კუჭი  
ჩენვის — საპონი გენანება?

ვარვარა — შენ მენანები. არა, როგორ იცხოვრებ იცი... გიმნა-  
ზიდანაც მიგაბრანეს...

შურა — ეგ მართალი არაა.

ვარვარა — შენი მეგობარი სრულ ჰქუაზე ვერაა.

ზორნ ცოვი — მაგას მუსიკის სწავლა უნდა.

ვარვარა — გისა?

ზორნ ცოვი — შურის.

შურა — ეგ მართალი არ არის. მე მუსიკის სწავლა არ მინდა.

ვარვარა — მაშ შენ საიდან მოიტანე ეგ ამბავი?

ზორნ ცოვი — შენ არ ამბობდი, შურა, მუსიკის სწავლა მინ-  
დო?

შურა — (მიღის). არასოდეს მე ეგ არ მითქვამს.

ზორნ ცოვი — ჰმ... უცნაურია. მე თვითონ ხომ არ გამოვიგო-  
ნებდი. შენ, ვარია, ძალიან ცუდად ექცევი...

ვარვარა — შენ კი მეტისმეტად კარგად.

ზორნ ცოვი — რას ნიშნავს მეტისმეტად? შენ ხომ იცი ჩემი  
გეგმა...

ვარვარა — გეგმა გეგმა, მაგრამ, ასე მგონია, საეჭვოდ ეფე-  
რები.

ზორნ ცოვი — თაგში სისულელები გიტრიალებს...

ვარვარა — ჰო? სისულელები?

ზორნ ცოვი — თვითონ გსაინჯე: რა დროის ეჭვიანობის სცე-  
ნების მოწყობაა ამ შეუკულმართ დროში?

ვარვარა — აქ რისთვის ჩამოსხედი?

ზორნ ცოვი — მე? აქ... ერთი განცხადებაა გაზეთში. თანაც  
შეტყევე ჩამოვიდა. ამბობს, გლეხეცებმა დათვი ხაფანგში მოაწყვ-  
დისო.

ვარვარა — დონატი სამზარეულოშია. განცხადება რას შეე-  
ხება?

ზორნ ცოვი — ეს აღმაშეფოთებელია! როგორ მელაპარაკები!  
ვინმე ლაშირაჟი ხომ არა ვარ? ეშმაქმა ნუ იცის...

ვარვარა — ნუ ცხარობ! მგონი, მამაჩემი მოვიდა. შენ კი,  
დახე, რას გახხარ.

(ზორნცოვი ჩქარი ნაბიჯით აღის ზევით, ვარვარა მამას მიეცებება. შურა, რო-  
მელსაც მწვანე, თბილი ქურუკი ცევია და მწვანე ჩაჩი ხურავს, ტალეონისა-  
კენ გარბის. მამა გააჩრებს და უსიტყვოდ გულში ჩაიკრავს. ბულიჩოვს  
მღვდელი პალინი მოჰყება. მღვდელს ისისურა ანაფორა აცვია).

ბულიჩოვი — (შურას ხელს მოხვევს და მაგიდას მიუჯდება, ქალი  
მამის წითურ, შეჭალარაებულ თბის ეფერება). ლიდძალი ხალხი დაასახიჩ-  
რეს, პირდაპირ საშინელებაა.

პავლინი — იფურჩენებით, შუროჩქა? მაპატიეთ, სალამი ვერ  
მომიხერხდა.

შურა — მე უნდა მოგსალმებოდით, მამაო პავლინ! მაგრამ მა-  
მაჩემი დათვივით დამეტერა.

ბულიჩოვი — აბა! წყნარად, შურკა! საით წავა ახლა ეგ ხალ-  
ხი? უმაქნისები კი ომამდისაც ბლომად იყვნენ. ტყუილად ჩავებით ამ  
ომში.

პავლინი — (ამოიხრებს). უზენაესი ხელისუფლების მოსაზრე-  
ბანი...

ბულიჩოვი — იაპონელებთანაც ვერაფერი მოიაზრეს და საჭ-  
ეყნოდ სირცევილი ჭამეს.

პავლინი — მაგრამ ომი, თვინიერ ნგრევა-მუსვრისა, შეგვძენს  
ვითარცა გამოცდილებას, აგრეთვე...

ბულიჩოვი — ერთნი ომობენ — სხვანი ღორობენ.

პავლინი — ისიც უნდა ვთქვათ, რომ ღვთის უნებური არა რა  
ხდება ამქეცებად. მაშ რიღასი მაქნისა ჩვენი წუწუნი?

ბულიჩოვი — იცი, რას გეტყვი, პავლინ საველივე, თავი და-  
ანებე ქადაგებას... შურკა, სათხილამუროდ ემზადები?

შურა — პო, ანტონინას ველოდები.

ბულიჩოვი — კეთილი და პატიოსანი თუ არ წახვედი, ხუთ  
წუთში დაგიძახებ.

(შურა გაიქცევა).

პავლინი — დაშვერდა ტანად ასული...

ბულიჩოვი — ტანი კარგი აქვს, მოქნილია. თვალად — ვერა-  
ფერი შეილია. დედაც ულამაზო ჰყავდა. კინჯისავით ჭკვიანი იყო,  
მაგრამ ულამაზო.

პავლინი — ალექსანდრა ეგოროვნას თავისებური სახე აქვს,  
მთლად არა მოკლებული მიმზიდველობას. მშობელი სადაური ჰყავ-  
და?

ბულიჩოვი — ციმბირელი იყო. შენ ამბობ — ზენარის ნე-  
ბაო. ღვთისაგანააო და კიდევ რაღაც... სახელმწიფო სათათბიროზე  
რალას იტყვი? სათათბირო საიდანაა?

პავლინი — სათათბირო, ესაა... ასე ვთქვათ, თვით ხელისუფ-  
ლებისაგან დაშვებული შეკვეცა მისი... ბეგრძა ჰერნია სახელისშერი  
შეცდომაა. მაგრამ უწმინდესი ეკლესის მსახურს არ მართებს წვრი-  
ლად მსჯელობა ამა საკითხა შესახებ. ამასთანავე ჩვენს დროში საძ-  
ლელობას აკისრია სიმხნის გამომუშავება. ტახტისა და სამშობლოს  
სიყარულის გარემავება.

ბულიჩოვი — სიმხნე სიმხნეა, მაგრამ საცაა წუმპეში მოვა-  
დენო ტყაპანს.

პავლინი — როგორც თქვენთვის ცნობილია, ჩემი ტაძრის  
წინამდლარი დავითანხმე, რომ მგალობელთა გუნდი ამრავლოს. ამას  
გარდა, ვესაუბრე გენერალ ბეტლინგს ახლად აშენებული ტაძრის ზა-  
რის შეწირვის თაობაზე თქვენი ზეციერი მეოხის, ეგორის, სახელზე...

ბულიჩოვი — არ მოგცა ფული?

პავლინი — უარი მითხვა და უშნოდ იოზუნჯა კიდევაც  
სპილენდი პოლკის ორქესტრშიც არ მიყვარსო! აი, კარგი იქნებოდა  
თქვენი შეუძლოდ ყოფნის გამო გაერლოთ ფული.

ბულიჩოვი — (ფეხზე წამოდგება). ზარის რეკვით ავადმყოფო  
ბას არ არჩენა.

პავლინი — ვინ იცის? მეცნიერებისათვის უცნობია სწერი  
მიზეზი. ზოგ უცხოურ სანატორიუმებში მუსიკით მკურნალობენ, კა-  
მიგონია. ჩვენთან არის ერთი მეხანძრე, ის ბუკზე დაკვრით მკურნა-  
ლობს...

ბულიჩოვი — (ლიმილით). რომელ ბუკზე?

პავლინი — სპილენდის ბუკზე. ძალიან დიდი ბუკიაო, ამბო-  
ბენ!

ბულიჩოვი — რაკი დიდია — მოარჩენს კაცს თუ?

პავლინი — ამბობენ, კიო! უპატივცემულესო ეგორ ვასილე-  
ვიჩ, ჟველაფერი მოსალოდნელია, რა არ ხდება ამქვეყნად. იღუმა-  
ლებაში ვცხოვრობთ, მრავალგზისი და ამოუცნობელი იღუმალება  
გვაზვევია გარს. გვგონია, გარშემო ნათელია და ეს ნათელი გაზომდი-  
ნარეობს ჩვენი გონებისაგან, ნამდვილად კი ნათელია მხოლოდ ხორ-  
ციელი ხედვისათვის, სულს კი გონება მხოლოდ აბნელებს და იქნებ  
კიდეც აქრობს.

ბულიჩოვი — (მოოხვერით). ეპეი, სიტუა არ შემოგაკლდება...

პავლინი — (შეტი ალფროთვანებით). აბა მაგალითისათვის პრო-  
კოფი ნეტარს მივმართოთ, რა ნეტარებაა ცხოვრება ამა კაცისა, რო-  
მელსა უგუნურნი უწოდებენ სულელს...

ბულიჩოვი — ააბრუნა ამან თავისი წისქვილი! მშვიდობით,  
დავიღლავ.

პავლინი — გულმხურვალედ ვისურვებ თქვენს ჯანმრთელო-  
ბას. თქვენთვის მლოცველი... (მიღია).

ბულიჩოვი — (პარჯვენა ფეხს ისიჯავს, ტახტიან ბუზლუნით  
მიდის). ღორი, გამსკდარა ქრისტეს სისხლითა და ხორცით. გლაფირა,  
ჰეი...

ვარვარა — რა გნებათ?

ბულიჩოვი — არაფერი. გლაფირას ვეძახდი. ეგ როგორ გა-  
მოწყობილხარ? სით გაგიწევია?

ვარვარა — მივდივარ სპერტაკლზე, რომელიც მომჯობინე-  
ბულებისათვის მოაწყვეს.

ბულიჩოვი — შუშები დაგიკოსებია ცხვირზე? ვითომ გჸირ-  
დება? სტუუ, მოდას აპიროლიხარ.

ვარვარა — მამა, მოლაპარაკებოდი ალექსანდრას, სულ თავი  
აიშვა, აუტანელი გახდა.

ბულიჩოვი — ყველანი კარგები ხართ! წადი! (ბუზლუნით). აუ-  
ტანლები. აი ნახავთ... გამოვკეთდები და მაშინ გაგცოცხავთ აქედან!

ვლაფირა — მეძახდით?

ბულიჩოვი — ვეძახდი. ჰეი, გლაფირა, რომ იცოდე, რა კარ-  
გი ხარ! ჯან-ღონით საესე, ლაულაუ. ჩემი ვარვარა — ნამდვილი ნათ-  
ევი კატაა...

ვლაფირა — (კიბისაენ იურება). მაგისი ბედი, რომ ეგეთია. აბა  
ლამაზი იყოს, თუ ლოგინში არ დაითრევდით.

ბულიჩოვი — საკუთარ ქალს დავითრევდი! რას ამბობ, სულელო, დაფიქრდი!

გლიფირა — ვიცი, რასაც ვამბობ. შურას, როგორც უცხოს, ისე სრესთ, სალდათივით!

ბულიჩოვი — (გავირებული). სწორედ ჰქუა დაქარგე! ქალი შვილზე ეჭვიანობ? ასეთი რამ გულშიც არ გაიღლო. სალდათივათო... როგორც უცხოსო. ჩავარდნიხარ ხელში სალდათებს? ჲა?

გლიფირა — რა დროს ეგაა... რა დროს ლაპარაკია. რატომ დამიძახეთ?

ბულიჩოვი — დონატი გამომიგზავნე. დაიცა! ხელი მომეცა. მაინც გიყვარგარ?

გლიფირა — (ახლო მივა). ჩემდა ჭირად ხართ გაჩენილი... ყოჩალად იყავით, ავადმყოფობას ნუ დაეჩაგვრინებით (მოშორდება, მირზა).

(ბულიჩოვს ნალელიანად ედიშება. ტუჩებს ილოკას. თავს გაიქნევს, წამოწვება).

დონატი — დღეგრძელობა, ევორ ვასილევიჩი!

ბულიჩოვი — იცოცხლე. რა ამბავი მოვიტანია?

დონატი — ქარგი ამბავი. დათვი მოვიხელთვ.

ბულიჩოვი — (ამოიხებებს). ეჱ, ეგ შურის უფროა, ვინემ სიხარულის. ახლა დათვი საჩემო აღარაა. ტყისას რას იტყვი, გაჩეხეს?

დონატი — ცოტცოტაობით. ხალხი აღარაა. (ზემოდის ქსენია. გამოწყობილია, თითებზე ბეჭდები უბრწყინვას).

ბულიჩოვი — რაო, რა გინდა?

ქსენია — არაფერი... ნეტავ გულთან ახლო არ მიგქონდეს დათვის ამბავი. რაღა დროს შენი ნადირობაა.

ბულიჩოვი — ჩუმად იყავი. მაშ ხალხი აღარაა?

დონატი — ბერიყაცები და ბიჭბუჭებილა დარჩენენ. თავადს ასნახვარი ტყვე მისცეს, მაგრამ ისინი ტყეში ვერ მუშაობენ.

ბულიჩოვი — ვინ იცის, დედაკაცებთან უფრო ემარჯვებათ მუშაობა.

დონატი — არც უმაგისობაა.

ბულიჩოვი — ჰმ... დედაკაცები ახლა დანატრულები არიან.

ქსენია — ხმა მოდის — დიდი აღვირასნილობაა სოფელშით.

დონატი — ეგ რა აღვირასნილობაა, აქსინია იაკოვლევნა. გლეხები გაწყვიტეს, ბაკებს გაჩენა არ უნდა? ისე გამოდის, რომ ვინც გაწყვიტა, იმანვე უნდა გააჩინოს.

ბულიჩოვი — ეგრე გამოდის...

ქსენია — რა ბაეშვი უნდა გააჩინონ ტყვეებმა. თუმცა, თუ ჯანანი მამაკაცია...

ბულიჩოვი — დედაკაცი ტუტუცია, რა ხალისია ეგეთმა ბავშვი გაგიცეოთს.

ქსენია — ჩვენი დედაკაცი ჭკვიანია, ჯანიანი მამაკაცები სულ ომში გარეებს, შინ მარტო... ვექილები დარჩენენ.

ბულიჩოვი — დიდაბლი ხალხი დალუპეს.

ქსენია — სამაგიეროდ ვინც დარჩა, უფრო მდიდრულად იცხოვრებს.

ბულიჩოვი — გამოიცნო განა!

დონატი — მეფეები ხალხით ვერ ძლებიან.

ბულიჩოვი — რაო, რა თქვი?

დონატი — ვერ ძლებიან-მეთქი მეფეები ხალხით. თავისიანები ვერ დაუბურებიათ და სხეისები უნდათ დაიპყრონ.

ბულიჩოვი — ეგ მართალია, მართალი!

დონატი — სხეანაირად რას გაიგებ — რა გვაომებს. კიდეც მაგიტომ გვირტყამენ ცხვირში, მაგ სიხარბისათვის.

ბულიჩოვი — მართალს ამბობ, დონატ! აი, იაკობიც, ჩემი ნათლული, მაგას ამბობს: „რაც რამ ქვეყნად ჭირია, ყველას სათავე სიხარბეათ“. რასა იქმს იაკობი?

დონატი — რა უშავს, ჭკვიანი ბიჭია.

ქსენია — გიბოვია შენც ჭკუის კოლოფი! თავხედია, ჭკვიანი კა არა.

დონატი — ჭკუისაგინ სუირს ეგ თავხედობა, აქსინია იაკოვლევნა. ათამდე დეზერტირი შეაგროვა, ევორ ვასილევიჩ, სამუშაოზე დაიყენა. რა უშავს, მუშაობენ, თორემ ისე ქურდბაცაცობით იქცევდნენ თავს.

ბულიჩოვი — ოჟ, ამას... მოკროუსოვი გაიგებს და ერთ ამბავს ასტებს.

დონატი — მოკროუსოვმა იცის. გაუხარდა კიდეც. იმას ცოტა მოეშვა.

ბულიჩოვი — უყურე ერთი... (ზემოდან ჩამოდის ზოონცოვი).

დონატი — მაშ დათვი...

ბულიჩოვი — დათვი შენი ბედი ყოფილა.

ზოონცოვი — ნება მომეცით, დათვი ბეტლინგს შევთავაზო თქვენც იცით, რა დახმარებას...

ბულიჩოვი — ვიცი, ვიცი! შესთავაზე. თუ არა და არქიელ შესთავაზე.

ქ ს ე ნ ი ა — (ლიმილით). ერთი დამანახა, როგორ ესერის არქიელი დათვეს.

ბ უ ლ ი ჩ ი თ ვ ი — დავილალე. შევიდობით, ღონატ! სასიკეთო პირი არაფერს უჩანს. რაც ავად გავხდი, ყველაფერი უკულმა დატრიალდა... (ონატი უხმოდ თავს უქრას, გაის).

ბ უ ლ ი ჩ ი თ ვ ი — აქსინია, ერთი შერქა გამომიგზავნე. შენ რას იყლაჟები, ანდრეი? თქვი პირდაპირ!

ზ ვ ო ნ ც ი თ ვ ი — ლაპტევის თაობაზე მინდოდა...

ბ უ ლ ი ჩ ი თ ვ ი — რაო?

ზ ვ ო ნ ც ი თ ვ ი — ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ იგი არაქეთილ-საიმედო ხალხს გადაეკიდა და კოპოსოვოს ბაზრობაზე გლეხეკაცობას მთაცრობის საწინააღმდეგო სიტყვა უთხრა.

ბ უ ლ ი ჩ ი თ ვ ი — მოეშვი ერთი, ახლა საღლაა ბაზრობები? ვინ გლეხეკაცებია? რა გაგიძლათ ეგ იაკობი, რომ ყველანი იმას შეჩენიხართ.

ზ ვ ო ნ ც ი თ ვ ი — ის რომ... ჩვენი ოჯახის წევრად ითვლება... (უმოლის შურა).

ბ უ ლ ი ჩ ი თ ვ ი — ვითომ... მაინცადამაინც... შინაურად არ თვლით. ჰოდა, კვირადლეობით აღარც მოდის საღლიად. წადი, ანდრეი, დანარჩენს მერე მიმბობა...

ბ უ რ ა — იაკობი დაბეზლა?

ბ უ ლ ი ჩ ი თ ვ ი — ეგ შენი საქმე არ არის. აქეთ დაჯექი. შენც ყველანი გიჩივიან.

ბ უ რ ა — ვინ ყველანი?

ბ უ ლ ი ჩ ი თ ვ ი — აქსინია, ეარვარა...

ბ უ რ ა — ეგენი ყველანი არ არიან.

ბ უ ლ ი ჩ ი თ ვ ი — მე სერიოზულად გელაპარაკები, შერქა.

ბ უ რ ა — სერიოზულად შენ ეგრე არ ლაპარაკობ.

ბ უ ლ ი ჩ ი თ ვ ი — ყველასთან უხეში ხარ. არაფერს არ აკეთებ.

ბ უ რ ა — თუკი არაფერს ეკაეთებ, მაშ როდის ეუხეშობ?

ბ უ ლ ი ჩ ი თ ვ ი — არავის ყურს არ უგდებ.

ბ უ რ ა — ყველას ყურს ვუგდებ. მაგრამ ვაი მაგ ყურის გდებას, წითურო!

ბ უ ლ ი ჩ ი თ ვ ი — თეითონ ხარ ჩემზე უარესი წითური. მეც ისე არ მელაპარაკები, როგორც საჭიროა. გასალანდო ხარ, მაგრამ არ მინდა გლანძლო.

ბ უ რ ა — რაკი არ გინდა, საჭიროც არ ყოფილა.

ბ უ ლ ი ჩ ი თ ვ ი — ამას უყურე. არ გინდა — არცა საჭირო. ეგრე ცხოვრებას რა სჯობს, მაგრამ არ იქნება!

შ უ რ ა — ვინ ყველანის?

ბ უ ლ ი ჩ ი თ ვ ი — ყველანი... ყველანი გვიშლიან. შენ მაგას ვერ გაიგებ.

შ უ რ ა — შენ მასწავლე, რომ გავიგო, რათა ხელი არავინ შემიზალოს.

ბ უ ლ ი ჩ ი თ ვ ი — მაგის სწავლა არ იქნება. რა გინდა, აქსინია, რას დახერიალობ, რას დაეძებ?

ქ ს ე ნ ი ა — ექიმი მოვიდა, ბაშკინიც გელოდება. ალექსანდრა, გაისწორე კაბა, როგორ ზიხარ?

ბ უ ლ ი ჩ ი თ ვ ი — (დგება). აბა დაუძახე ექიმს. წოლა მწყინს. მამიმებს. აბა მოუსვი, შურკა! ფრთხილად. მანდ ფეხი არ გადაგიბრუნდეს!

ე ქ ი მ ი — გამარჯობა, თავს როგორ გრძნობთ?

ბ უ ლ ი ჩ ი თ ვ ი — შეუძლოდ ვარ. რიგიანად ვერ მწამლობ, ნიფონტ გრიგორევიჩი.

ე ქ ი მ ი — აბა-აბა წავიდეთ თქვენს ოთახში...

ბ უ ლ ი ჩ ი თ ვ ი — (ექიმს შიპება). შენ კეველაზე მწარე, ყველაზე ძვირფასი წამლება გამომიწერე. მე, მშაო, უსათუოდ უნდა მოვჯობინდე. მომარჩენ — საავადმყოფოს აგიგებ და უფროსად დაგაყენებ... რაც გინდა, გააკეთე... (გადან. ქსენია, ბაშკინი).

ქ ს ე ნ ი ა — რა თქვა ექიმმა?

ბ ა შ კ ი ნ ი — კიბრაო, ლიიდლის კიბრ.

ქ ს ე ნ ი ა — ღმერთო ჩემო, რას არ გამოიგონებენ.

ბ ა შ კ ი ნ ი — საშიში ივადმყოფობაო, ამბობს.

ქ ს ე ნ ი ა — რა თქმა უნდა! ყველას თავისი საქმე სხვისაზე ძნელად მიაჩნია.

ბ ა შ კ ი ნ ი — ცუდ დროს გახდა ივად! ირგვლივ ფული ისე ცვივა, როგორც გახვრეტილი ჯიბიდან. მათხოვრები ათასების პატრონები ხდებიან. ეს კი...

ქ ს ე ნ ი ა — მაშ, მაშ! მდიდრდებიან, ოპ, რას მდიდრდებიან!

ბ ა შ კ ი ნ ი — დოსტიგავი ისე გაიბრა, ტანისამოს შეუკვრელი დაიდის. ლაპარაკი მარტო ათასებითღა ემარჯვება. ეგორ გასილევიჩს კი თითქოს გონება დაებნა. წელან თქვა, „ისე მიცხოვრია, ნამდვილი საქმის გემო არ მინახავს“. რას უნდა ნიშნავდეს ეს?

ქ ს ე ნ ი ა — ეგ მეც შევამჩნიე — როგორლაც ცუდად ლაპარაკობს.

ბ ა შ კ ი ნ ი — ცხოვრება შენი და შენი დის ფულით დაიწყო. განა არ უნდა გაებევრებინა?

ქ ს ე ნ ი ა — შევცდი, მოკეი, დიდი ხანია ვიცი, რომ შევცდი. ნო-

ქარს გავუევი ცოლად და იმის არა, რომელიც უმჯობესი იყო. შენ რომ გამოგყოლდი — უფრო მშეიღი ცხოვრება მექნებოდა. ამასთან კი — ლმერთო ჩემო! რა ინიბაზია! რა არ მიტანია მავისაგან. სადღაც შეილი გააჩინა და კისერზე დამასცა. სიძე — იყო და, რაც უარესი გამონახა, ის მომიყვანა. მეშინია, მოკეთ პეტროვიჩ, ჩემი ქალი და სიძე დამტოვებენ ცარიელზე, კარდაკარ სასიარულოდ გამიხდიან საქმეს...

ბაშკინი — ყველაფერი შესაძლებელია. ომია! ომის დროს არც სირცევილი, არც სიბრალულია.

ქსენია — შენ ჩვენი ძველი მსახური ხარ, მამაჩემა დაგაყენა ფეხზე, იფიქტე ჩემზე.

ბაშკინი — ვფიქრობ კიდეც...

(ზვონცოვი შემოდის).

ზონცოვი — ექიმი წავიდა?

ქსენია — არა, ექ არის.

ზონცოვი — მოკეთ პეტროვიჩ, როგორაა მაუდის საქმე?

ბაშკინი — ბეტლინგი არ ღებულობს.

ზონცოვი — რამდენი უნდა მივცეთ?

ბაშკინი — ხუთ ათასზე ნაკლები არა.

ქსენია — მძარცველი! ბერიკაცი კია!

ზონცოვი — უანას მეშვეობით მივცეთ?

ბაშკინი — ასე ვართ შეთანხმებული.

ქსენია — ხუთი ათასი რაში?

ზონცოვი — ახლა ფული დაფოლებულია.

ქსენია — სხვის ჯიბეში მაინც...

ზონცოვი — ჩემი სიძამრი თანახმა?

ბაშკინი — მაგის გასაგებად მოვედი, თანახმა თუ არა.

ეჭიმი — (გამოდის — ზვონცევს ხელს ჰქიდებს). აი რა გითხრათ.

ქსენია — აბა, რით გავგახარებთ?

ეჭიმი — ავადმყოფი, რაც შეიძლება დიდი ხანი უნდა იწვეს. ძალიან ვნებს — ყოველგვარი საქმე, ალელვება, გაბრაზება. სიმ-შვიდე და სიმშვიდე. ამას გარდა... (უჩრაჩულებს ზვონცოვს).

ქსენია — რატომ არ შეიძლება, რომ მე მითხრათ — მე ცოლი ვარ.

ეჭიმი — არის ისეთი რამ, რასაც ქალებთან ვერ ვიტყვით. (ისევ ჩურჩულებენ). დღეს საღმოსვე მოვაწყოთ.

ქსენია — რა უნდა მოვაწყოთ?

ეჭიმი — კონსილიუმი, ექიმთა ბჭობა...

ქსენია — ლმერთო ჩემო...

ეჭიმი — ეგ საშიში არა. მშეიღობით ბრძანდებოდეთ. (მიღის).  
ქსენია — როგორი მყარია. აბა რა იქნება! ხუთ წუთში ხუთი მანეთი უნდა. სამოცი მანეთი საათში... აბა!

ზონცოვი — ამპობს — ოპერაცია დასჭირდებაო.

ქსენია — უნდა გაჭრან? არა — ეგ არა. გაჭრის უფლებას არ მივცემ.

ზონცოვი — ყური მიგდეთ, ეგ დიდი უვიცობაა. ქირურგია მეცნიერებაა...

ქსენია — მიმიფურთხებია შენი მეცნიერებისათვის. ესეც შენ შენც უხეშად მელაპარაკობი.

ზონცოვი — მე ზრდილობაზე კი არ ვლაპარაკობ, თქვენს გაუნათლებლობას მოგახსენებთ...

ქსენია — არც შენ მყავხარ დიდად განათლებული! (ზვონცოვის ხელს ჩაიქნევს და მოშორდება. შემოდის გლაფირია).

ქსენია — საით გარბიხარ?

გლაფირი — საწოლი ითახიდან ზარის რეკვაა.

(ქსენია გლაფირის მიჰყება, ორივენი ეგორთან მიღიან).

ზონცოვი — რა ცუდ დროს გახდა ავად ჩემი სიმამრი.

ბაშკინი — ჰო. შეგაწუხებს. ახლა ისეთი დროა, ხალხი ჯამბაზიერთ ფულს ჰაერში იჭერს.

ზონცოვი — ჭმ... თანაც რევოლუცია იქნება.

ბაშკინი — მაგას მაინცდამაინც კარგი თვალით არ ვუყურებ. რევოლუცია ხუთ წელსაც იყო. უაზრო რამაა.

ზონცოვი — ხუთში ამბოხება იყო და არა რევოლუცია. მაშინ მუშები და გლეხები შინ იყენენ, ახლა ფრონტზე არაან. ახლა რევოლუცია მოხელეების, გუბერნატორების და მინისტრების წინა-აღმდეგ იქნება მიმართული.

ბაშკინი — ღმერთმა ქნას — ეგრე იყოს! მოხელეები ნამდვილ ტკიაზე უარესები არიან. ჩაგეჭიდებიან და მორჩა...

ზონცოვი — მეფეს ევეკინის მართვის თავი არა აქვს.

ბაშკინი — მაგეებს ვაჭრებშიც ამბობენ. ვითომ ვიღაც გლებება დედოფალს წირვა გამოუყვანა. (ვარება კიბეზე, უსმენს).

ზონცოვი — ჰო. გრიგორი რასპუტინი.

ბაშკინი — ჯალოქრობისა არა მჯერა რა.

ზონცოვი — საყვარლებისა გჯერა?

ბაშკინი — ზღაპარს ჰვავს. დედოფალს ასობით გენერალი ჰყავს.

ვარება — სისულელეებს ლაპარაკობთ.

ბ ა შ კ ი ნ ი — ყველანი ასე ლაპარაკობენ, ვარვარა ეგოროვნა. მე  
მაინც მგონია, უმეფოდ ყოფნა არ შეიძლება!

ზ ვ თ ნ ც თ ვ ი — მეფე პეტერბურგში კი არ უნდა გყავდეს —  
თავში უნდა გეჯდეს. გათავდა სპერტაკლი?

ვ ა რ ვ ა რ ა — გადასტეს. ვიღაც რევიზორი ჩამოვიდა — საღა-  
მოს დაჭრილების ეშელონი ჩამოვა, ხუთასამდე კაცი. ადგილი კი არაა.

გ ლ ა ფ ი რ ა — მოკეი პეტეროვიჩ, თქვენ გეძახიან.

(მაშვინი მიდის, მაგიდაზე დასტოვებს თბილ კარტუზს).

ვ ა რ ვ ა რ ა — რა გულს უშლი მაგას. განა არ იცი, რომ დედაჩე-  
მის ჯაშუშია. ქრისანგი ათი წელია, მაგ კარტუზს დაატარებს. სულ  
გაზრდილია. არ მესმის, რა გაქვს საერთო მაგ თაღლითთან.

ზ ვ თ ნ ც თ ვ ი — დამეხსენ ერთი! მინდა ფული დავესესხო,  
ბეტლინგს ქრთამი უნდა...

ვ ა რ ვ ა რ ა — ხომ გითხარი, ამას ლიზა დოსტიგავეა მოაწყობს  
უანას საშუალებით-თქო. იაფიც დაგეიჯდება...

ზ ვ თ ნ ც თ ვ ი — მოგაღორებს ლიზავეტა...

ქ ს ე ნ ი ა — (ქმრის ოთხიდან). დაავერეთ, რომ უნდა იწვეს! და-  
დის და მოკეის აგინებს... ღმერთო ჩემო!..

ზ ვ თ ნ ც თ ვ ი — შენ წადი, ვარია...

ბ უ ლ ი ჩ თ ვ ი — (აცვია ხალათი და თექის ფაჩუჩები). აბა კიდევ რაო?  
უბედურებაა ომი?

ბ ა შ კ ი ნ ი — (უკან მოქვება). ვინ დაობს?

ბ უ ლ ი ჩ თ ვ ი — ვისთვისაა უბედურება?

ბ ა შ კ ი ნ ი — ჩვენთვის.

ბ უ ლ ი ჩ თ ვ ი — ვინ ჩვენთვის? შენ არ ამბობდი, ომის გამო  
მილიონობით ფული კეთდებაო? ჰა?

ბ ა შ კ ი ნ ი — მაშ, ხალხისათვის... ჩანს...

ბ უ ლ ი ჩ თ ვ ი — ხალხი გლეხეაცია. გლეხეაცისათვის კი სულ  
ერთია: გინდ უცოცხლია, გინდ მომკვდარია. ესეც შენი სიმართლე.

ქ ს ე ნ ი ა — გეყოფა, ნუ ბრაზობ! გაწყენს...

ბ ა შ კ ი ნ ი — აბა, რას ამბობთ? ეგ სადაური სიმართლეა?

ბ უ ლ ი ჩ თ ვ ი — ნამდვილი სიმართლეა! ესაა სწორედ სიმართ-  
ლე. პირდაპირ გეუბნები. ჩემი საქმე — მოგებაა. გლეხეაცისა  
კი — პურის მოყვანა, საქონლის შეძენა. სხვა რაღა სიმართლე გინდა?

ბ ა შ კ ი ნ ი — ეგ ხომ ეგრეა, მაგრამ მაინც...

ბ უ ლ ი ჩ თ ვ ი — რაღა „მაინც“? რას ფიქრობ, როცა მე მპარავ?

ბ ა შ კ ი ნ ი — რატომ გინდათ, რომ მაწყენიოთ?

ქ ს ე ნ ი ა — რას უყურებ, ვარვარა? უთხარი რაიმე! მაგას წო-  
ლა ურჩიეს.

ბ უ ლ ი ჩ თ ვ ი — მაშ ხალხი გადარდებს?

ბ ა შ კ ი ნ ი — თანაც ხალხში მეუბნებით! ვიპარავ! მაგას დამტ-  
კიცება სჭირდება!

ბ უ ლ ი ჩ თ ვ ი — დასამტკიცებელი არაფერია. ეგ ყველამ იცის.  
ქურდობა კაონიერი საქმეა. შენი წყენა რა შუაშია. წყენისაგან უკე-  
თესი არ გახდები, უარესი იქნები. თანაც შენ არ იპარავ, მანეთი იპა-  
რავს. თვითონ ისაა თავი და თავი ქურდი...

ბ ა შ კ ი ნ ი — მაგას მარტო იაყობ ლაპტევი იტყვის.

ბ უ ლ ი ჩ თ ვ ი — სწორედ ის ამბიბს. აბა, გასწი. ქრთამი კი  
ბეტლინგს არ მისცეთ. საკმარისია, რაც მიგვიცია. კუბოლაც ეყოფა და  
სულარადაც იმ ბებერ ეშმაკს! რას მოგროვილხართ აქ? რას უცდით?

გ ა რ ვ ა რ ა — ჩვენ არაფერს არ ველოდებით.

ბ უ ლ ი ჩ თ ვ ი — ვითომ არაფერს? რაკი ეგრეა, თქვენ-თქვენ  
საქმეზე წადით. საქმე ხომ გაჭვთ? იქსინია, უბრძანე ჩემს ოთახში  
ჰაერი გაწმინდონ. სული მეხუთება მევავე წამლის სუნი დგას. ჰო —  
გლაფირიძ ქენქრის ბურახი მომიტანოს.

ქ ს ე ნ ი ა — ბურახი არ დაგელევინება.

ბ უ ლ ი ჩ თ ვ ი — გასწი, გასწი. მე თვითონ ვიცი, რაც დამელე-  
ვინება და რაც არა.

ქ ს ე ნ ი ა — (მიღის). ეგ რომ გცოდნოდა...

(ყველანი გლიან).

ბ უ ლ ი ჩ თ ვ ი — (მაგიდას შემოუვლის). მასზე ხელდაყრდნობილი სარკეში  
იყურება და ხმამალია ამბიბს): ცუდადა შენი საქმე, ეგორ. ცხვირ-პირი  
ისე ჩამოგვხავებია, ძმაო... თითქოს შენი არააო...

გ ლ ა ფ ი რ ა — (ლანგარით ჭიჭა ჩემი შემოიტანს). აი, ჩემ მოგიტანეთ.

ბ უ ლ ი ჩ თ ვ ი — ეგ კატას წაულე. მე ბურახი მომიტანე, კენ-  
კირისა.

გ ლ ა ფ ი რ ა — ბურახი, მიბრძანეს, არ მოგიტანოთ.

ბ უ ლ ი ჩ თ ვ ი — ეგრე გიბრძანეს და მაინც მოიტა. დაიცა! რო-  
გორ გგონია, მოვკვდები?

გ ლ ა ფ ი რ ა — არა და არა.

ბ უ ლ ი ჩ თ ვ ი — რატომ?

გ ლ ა ფ ი რ ა — არ მჯერა.

ბ უ ლ ი ჩ თ ვ ი — არ გჯერა? არა, ძმაო, ჩემი საქმე წასულია  
ძალიან ცუდადა, ვიცი!

გ ლ ა ფ ი რ ა — არ მჯერა.

ბ უ ლ ი ჩ თ ვ ი — ჯიუტი. აბა, ბურახი მოიტანე! ნარინჯოვანსაც  
დავლევ, სასარგებლოა. (მიღის ბურახი რატომ). ჩაუკეტით ეშმაკის კერძებს,  
ღორებს ღამიხედვეთ! მიფრთხილდებიან! გამოდის, რომ ამათი პატა-  
მარი ვარ, ტყვე...

ფ ა რ დ ა

## მოძრავი მეორე

ბულნივების სისტუმრო თთახი. ზორნცოვი და ტიანინი კუთხეში ვატარა მრგვალ მაგიდას უსხედან, მაგიდშე ბოლოთ ლეინ დგას.

ზორნცოვი — (თამბაქოს წევით). გაიგე?

ტიანინი — მართალი გითხრა, ანდრეი, არ მომწონს ეგ საჭ-  
შე...

ზორნცოვი — ფული ხომ მოგწონს?

ტიანინი — ფული, სამწუხაროდ, მომწონს.

ზორნცოვი — მაინც ვინ გებრალება?

ტიანინი — ჩემი თავი, რა თქმა უნდა...

ზორნცოვი — შენც გიპოვა საბრალო ვინმე რალა

ტიანინი — მაინც, იცი, მე ჩემი თავის ერთადერთი მეგობა-  
რი ვარ.

ზორნცოვი — გიჯობს ფილოსოფიას თავი დაანებო და საქმე-  
ზე ითვირთ.

ტიანინი — აყი ვფიქრობ. ძალიან განებივრებული ქალთა,  
ძალიან ძნელად შეეგუება კაცი.

ზორნცოვი — გაეყარე.

ტიანინი — ფული მაგის დარჩება...

ზორნცოვი — ისე მოვიქცევით, რომ შენ დაგრჩეს. შურქას  
მორჯულება მე მომანდე.

ტიანინი — მართალი გითხრა...

ზორნცოვი — ისე, რომ მაგის გათხოვებასაც დაეშურებიან  
და მზითვესაც გაუდიდებენ.

ტიანინი — ეგ ძალიან მოგიფიქრებია! რამდენია მზითვი?

ზორნცოვი — ორმოცდაათი.

ტიანინი — ათასი?

ზორნცოვი — მაშ არა და ღილი.

ტიანინი — მართლა?

ზორნცოვი — ხელს მომიწერ ათასის თამასუქზე

ტიანინი — ათასის?

ზორნცოვი — არა, მანქოს, რა უცნაური ხარ!

ტიანინი — ბევ-რია...

ზორნცოვი — მაშინ — შევწყვიტოთ ლაპარაკი.

ტიანინი — შენ... უველავერს მაგის სერიოზულად ამბობ?

ზორნცოვი — ფულზე არასერიოზულად მხოლოდ ბრიყვები  
ლაპარაკობენ.

ტიანინი — (დამილით). ეშმაქმა წაილოს... მშენიერი აზრია.  
(შემოდის ღოსტიგევე).

ზორნცოვი — მიხარია, რომ რაღაც გაიგე. შენ, ინტელიგენტ-  
პროლეტარს, ამ მძვინვარე დღეებში არ შევიძლია...

ტიანინი — ჰო, ჰო, რა თქმა უნდა. მაგრამ მე უკვე სასამართ-  
ლოში მეჩქარება.

დოსტიგევი — რას აუღელვებიხარ, სტეპაშა?

ზორნცოვი — რასპუტინი მოვიგონეთ.

დოსტიგევი — შენ იმის ბედს დახედე! გაგონილა, უბრა-  
ლო ციმბირელი გლეხი რომ ეპისკოპოსებს, მიჩისტრებს შაშს ეთამა-  
შებოდეს, ათი ათასებს ატრიალებდეს, ათი ათასზე ნაკლებ ქრისტიან არ  
იღებდეს? ნამდვილად ვიცი, არ იღებდა. რას ყლურწავთ? ბურგონ-  
ულს? ეგ ღვინო მძიმეა, ეგ საღილზე უნდა დალიოთ, თქვე უკულ-  
ტურობო, თქვენა!

ზორნცოვი — რას ფიქრობთ, როგორაა ჩემი სიმამრი?

დოსტიგევი — რა საფიქრებელია, ფიქრი რად უნდა. შენ,  
სტეპაშა, ჩემთვისაც მოგეტანა ჭიქა. (ტიანინი მძიმე-მძიმე გადის).  
ბულნივები, მართალი გითხრა, ცუდი შესახედავია! საშიშ მდგომა-  
რეობაშია...

ზორნცოვი — მეც ისე გვინია, რომ...

დოსტიგევი — ჰო, ჰო! სწორედ ეგრეა! თანაც ძალიან  
ეშინია სიკედილისა, ამიტომ უსათუოდ მოკვდება. შენ ეს ამბავი გაი-  
თვალისწინებ. ჩემი ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ პირის დალება  
არას გარებს, ჯიბეზი ხელების ჩაწყობაც არ იქნება. სახელმწიფოს  
ჯებირს ყოველი მხრიდან ლორები ანგრევენ, რევოლუცია რომ იქნე-  
ბა, ამას გუბერნატორიც ხვდება...

ტიანინი — (შემოდის). ეგორ ვასილევიჩი სასადილო თთახში  
გამოვიდა.

დოსტიგევი — (გამოართმევს ჭიქას). გმადლობ, სტეპაშა. გა-  
მოვიდაო, ამბობ? ჩემნც იქით წავიდეთ.

ზორნცოვი — მრეწველებს, მგონი, ესმით თავიანთი როლი...

(შემოდიან ვარვარა, ელიზავეტა).

დ ო ს ტ ი გ ა ე ვ ი — მოსკოველ მრეწველებს? როგორ არა, ეს-  
მით!

ე ლ ი ზ ა ვ ე ტ ა — გუგულებივით გალობენ, ბულიჩოვი კი ისე  
ლრიალებს, ყურთასმენაა წალებული!

დ ო ს ტ ი გ ა ე ვ ი — რისგანაა, რომ ამერიკა აღორძინდა? იმი-  
ტომ, რომ იქ ხელისუფლება თვითონვე ამერიკელებს უპყრია...

ვ ა რ ვ ა რ ა — უანა ბეტლინგოვას სერიოზულად სჯერა, რომ  
ამერიკაში შხარეული ქალებიც კი ბაზარში ავტომობილით დადიან.

დ ო ს ტ ი გ ა ე ვ ი — შესაძლებელია. თუმცა... ალბათ, სიცრუეა,  
ვარიუშა, სულ სამხედროებთან დაწანწალებ. პოდოლკოვნიკი გინდა  
იყო?<sup>1</sup>

ვ ა რ ვ ა რ ა — ეგ ძევლია! რას ოცნებობ, ტიატინ?

ტ ი ა ტ ი ნ ი — ისე რა, საერთოდ...

ე ლ ი ზ ა ვ ე ტ ა — (სარკის წირ). გუშინ უანამ მშევნიერი ანეგდოტი  
მიამბო! ყვავილივით ანეგდოტი იყო.

დ ო ს ტ ი გ ა ე ვ ი — აბა, აბა, რა გიამბო?

ე ლ ი ზ ა ვ ე ტ ა — მამაკაცებთან არ ითქმის.

დ ო ს ტ ი გ ა ე ვ ი — კაი ყვავილი ყოფილა!  
(ვარგარა რაღაცას უზრუნლებს ელიზავეტას).

ე ლ ი ზ ა ვ ე ტ ა — ჩემო ქმარო! სანამ ბოთლის ფსკერს არ და-  
ნაავა, მანამ აქ იქნები?

დ ო ს ტ ი გ ა ე ვ ი — ვითომ რაო, ვის რას ვუშლი?

ე ლ ი ზ ა ვ ე ტ ა — (ტიატინ). თქვენ, სტეპაშა, იცით ფსალმუნი:  
„ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღვეთოთასა და გზა-  
სა ცოდვილთასა არა დადგა...“?

ტ ი ა ტ ი ნ ი — რაღაც მაგონდება...

ე ლ ი ზ ა ვ ე ტ ა — (ხელს მოჰკიდებს). ყველანი ესენი უღვეთო ცოდ-  
ვილი არიან, თქვენ კი, ყმატვილი კაცი, გაჩენილი მთვარისათვის, სი-  
ყვარულისათვის და სხვათათვის, არა? (მიღის).

დ ო ს ტ ი გ ა ე ვ ი — რა მოლაქლაქეა!

ვ ა რ ვ ა რ ა — ვასილი ეფიმოვიჩ, დედაჩემა და ბაშკინმა დეიდა  
მელანია დაიბარეს.

დ ო ს ტ ი გ ა ე ვ ი — იღუმენია? ოპო, ეგ მომსხო ნადირია! ეგ  
დოსტიგაევისა და ზვონცოვის ფირმის წინააღმდეგ წავა. წინააღ-  
დეგ! ის იმის მომხრეა, რომ აბრაზე ქსენია ბულიჩოვა და დოსტი-  
გავი ეწეროს...

<sup>1</sup> რუსულად სიტყვათა თამაშია, მინდა პოდოლკოვნიკი ვიყო  
მინდა პოლკოვნიკის ქვერ ვიყო

ზ ვ ო ნ ც ო ვ ი — მაგან შეიძლება ფულიც მოითხოვოს უკან.

დ ო ს ტ ი გ ა ე ვ ი — რამდენია მელანიას ფული? სამოცდაათი  
ათასი?

ზ ვ ო ნ ც ო ვ ი — ოთხმოცდაათი.

დ ო ს ტ ი გ ა ე ვ ი — ეგ კარგი ფარაა! საკუთარია თუ მონასტ-  
რისა?

ვ ა რ ვ ა რ ა — მაგას ვინ გაიგებს?

დ ო ს ტ ი გ ა ე ვ ი — გაგებით გაიგება. გაგება ყველაფრისა შეი-  
ძლება! აგე, გერმანელებმა მარტო ის კი არ იციან, რამდენი ჯარისკა-  
ცი გვყავს ფრონტზე, ისიც კი იციან, თვითეულ ჯარისკაცს რამდენი  
ტილი ჰყავს.

ვ ა რ ვ ა რ ა — სერიოზული რამ გეთქვათ...

დ ო ს ტ ი გ ა ე ვ ი — ჩემო ვარიუშა, არც ვაჭრობა შეიძლება  
და არც ომი, თუკი ვერ დაგითვლია, რამდენი ფული გაქვს ჯიბეში.  
მელანიას ფულის ამბავი შეიძლება ასე გაიგოს კაცმა: არის ერთი მან-  
დილოსანი სეკლეტეია პოლუბოიარინოვა. ეს მანდილოსანი მეუფე  
ნიკანდრის ლამისთვევათა მონაწილეა. ხოლო ნიკანდრს, რა ფულიც  
უნდა იყოს, ყველას დათვლა უყვარს. გარდა ამისა, საეპარქიონ საბ-  
ჭოში არის ერთი კაცი — ის სამარქაფოდ მოვიტოვოთ. შენ, ვარიუშ-  
კა, პოლუბოიარინოვას მოელიარაკე, თუკი ფარა მონასტრისა გამო-  
დება — თვითონ გესმით. რა იქნა ჩემი ლამაზი, სად გადაიკარგა?

გ ლ ა ფ ი რ ა — სასადილო ოთახში გთხოვენ.

დ ო ს ტ ი გ ა ე ვ ი — გვეჩერება. აბა წავიდეთ?

ვ ა რ ვ ა რ ა — (თორქოს კალთოთ სეკარძელს გამოელო). ანდრეი, მიშვე-  
ლე ერთი, გჯერა მაგისი?

ზ ვ ო ნ ც ო ვ ი — რომელი სულელი მე მნახე.

ვ ა რ ვ ა რ ა — აპ, როგორი თალღითია! დეიდაჩემის ამბავი მე  
კარგად მოვითიქრე... ტიატინ რა ვუყოთ?

ზ ვ ო ნ ც ო ვ ი — დავაჯერებ.

ვ ა რ ვ ა რ ა — ეგ საქმე საჩერაოა.

ზ ვ ო ნ ც ო ვ ი — რატომ?

ვ ა რ ვ ა რ ა — დასაფლავების უემდეგ დიდი ხნის ცდა მოგვიხდე-  
ბა. მამაჩემს კი გულიც სუსტი აქვს. გ-ოდა ამისა, მე სხვა მიზეზიც  
მაქვს.

(გველენ. შემოდის გლაფირა, ზიზლით თვალს გაიყოლებს. სუფრიდან კურპელნ  
ალგებს. შემოდის ლაპტევი).

გ ლ ა ფ ი რ ა — გუშინ ჩხა დაყარეს შეწევ, დაიჭირესო.

ლ ა პ ტ ე ვ ი — რას ამბობ? მეონი, მართალი არაა.

გ ლ ა ფ ი რ ა — შენ სულ ხუმრობ.

ლ ა პ ტ ე ვ ი — საქმელი გამოილია; ცხოვრება საამურია.  
გ ლ ა ფ ი რ ა — მაგ ხუმრობას გადააყოლებ თავს.

ლ ა პ ტ ე ვ ი — კარგ ხუმრობაში არავის ურტყამენ, იქებენ. მაშ  
იაშუტეას ცუდი ხუმრობისათვის ხვდება.

გ ლ ა ფ ი რ ა — ასე, ჩემი ემელია! იქ შურასთან ტონქა დოსტი-  
გეებაა.

ლ ა პ ტ ე ვ ი — ბრრ. ეგ არ მინდა!

გ ლ ა ფ ი რ ა — იქ ხომ არ დაცუძახო შურას?

ლ ა პ ტ ე ვ ი — ი ეგ კარგი იქნება. როგორაა ბულიჩოვი?

გ ლ ა ფ ი რ ა — (გაჯავრებით). სადაური ბულიჩოვია შენი. ნათ-  
ლიაა!

ლ ა პ ტ ე ვ ი — ნუ ჯავრობ, დეიდა ვლაშა.

გ ლ ა ფ ი რ ა — ცუდადაა.

ლ ა პ ტ ე ვ ი — ცუდადო? მოიცა, მოიცა! შიმშილი აწუხებს ჩემს  
შეგობრებს, დეიდა გლაშა, ვერ იშოვი ერთ-ორ ფუთ ფქვილს? იქნებ  
ერთი ტომარაც გეშოვნა.

გ ლ ა ფ ი რ ა — შენი გულისათვის ბატონებს ხომ არ მოვპარავ?

ლ ა პ ტ ე ვ ი — ეგ ხომ პირველი არ იქნება! სულ ერთია, წინა-  
თაც შეგიცოდავს. ეგ ცოდვა ჩემზე მოაგდე! ბიჭები ჭამის მაღაზე  
არიან. შენ კი ამ სახლში შენი შრომის საფასური მეტი გერგება, ვინებ  
ბატონებს.

გ ლ ა ფ ი რ ა — მომისმენია შენი არაები! ხეალ დონატს ფქვილს  
უგზავნიან. ერთ ტომარას იმას გამოვართმევ. (მიდის).

ლ ა პ ტ ე ვ ი — ი გაიხარე! (ჯდება ტაბტუ, მაგრად ღაამთქარება,  
ცრემლს მოიწენდა. გარშემო მიმოახდეას).

ქ ს ე ნ ი ა — (ბუზღუნით შემოდის) ისე გარბიან, თითქოს ეშმაკები  
იყვნენ და საქმეველი დაენახოთ...

ლ ა პ ტ ე ვ ი — გამარჯობა...

ქ ს ე ნ ი ა — ოჰ, ოჰ, აქ რას უზიხარ?

ლ ა პ ტ ე ვ ი — აბა რა, უნდა ვიარო?

ქ ს ე ნ ი ა — ხან დაიკარგება, ხან კიდევ გამოჩნდება! თითქოს  
დამალობანას გვეთამაშება. ნათლიაშენი ავადაა, ყური მაინც შეი-  
ბერტყე...

ლ ა პ ტ ე ვ ი — მეც ავად გავხდე?

ქ ს ე ნ ი ა — თქვენ ყველანი გიუები ხართ და სხვებსაც იგიუებთ.  
რას გაიგებ! გაიგე, რას ამბობენ, მეფე გალიაში უნდა მოაწყველო-  
ნო, როგორც ემელქა პუგაჩოვი? ტყუან, ალბათ, პეიტარო?

ლ ა პ ტ ე ვ ი — ყველაფერი შესაძლებელია, ყველაფერი.

გ ლ ა ფ ი რ ა — აქსინია იაკოვლევნა, ერთი წუთით.

ქ ს ე ნ ი ა — რაო, რა ამბავია? წუთით არ დაგასვენებენ... ღმერ-  
თო ჩემო... (გადის).

შ უ რ ა — (შემობის) გამარჯობა!

ლ ა პ ტ ე ვ ი — შუროჩქა, მოსკოვში მიედიგარ, ფული არა მაქვს.  
ხელი გამიმართე!

შ უ რ ა — ოცდაათი მანეთი მაქვს.

ლ ა პ ტ ე ვ ი — ორმოცდაათი რომ გქონდეს, ა?

შ უ რ ა — გიშოვი.

ლ ა პ ტ ე ვ ი — საღამოთი, მატარებლისათვის? იქნება?

შ უ რ ა — კი, ყური მიგდე: რევოლუცია მოხდება?

ლ ა პ ტ ე ვ ი — უკვე დაიწყო, განა გაზეთებს არ კითხულობ?

შ უ რ ა — გაზეთების არაფერი მესმის.

ლ ა პ ტ ე ვ ი — ტიატინს ჰკითხე.

შ უ რ ა — იაკობ, მართალი მითხარი, ვინ არის ან რა არის ტია-  
ტინი.

ლ ა პ ტ ე ვ ი — ერთი ამას უყურე! ნახევარი წელია ყოველდღე  
ხედავ.

შ უ რ ა — პატიოსანი კაცია?

ლ ა პ ტ ე ვ ი — რა უშავს... პატიოსანია.

შ უ რ ა — ეგრე გაუბედავად რად ამბობ?

ლ ა პ ტ ე ვ ი — დოყლაპიაა. არეული ვინმეა დაიჩაგრა.

შ უ რ ა — რატე?

ლ ა პ ტ ე ვ ი — უნივერსიტეტის მეორე კურსიდან გამოაგდეს.  
მმასთან მუშაობს გადამწერად. ძმა კი...

შ უ რ ა — ზეონცოვი თაღლითია!

ლ ა პ ტ ე ვ ი — ლიბერალია, კადეტი, ისინი კი საერთოდ ცოტა  
მოითალლითებენ. ფული გლაფირას გადაეცი. ის მომაწვდის.

შ უ რ ა — გლაფირა და ტიატინი გეხმარებიან?

ლ ა პ ტ ე ვ ი — რაში უნდა დამეხმარონ?

შ უ რ ა — ნუ მასხარობ, იაშკა! გესმის ყველაფერი. მეც მინდა  
დაგეხმარო, გესმის?

ლ ა პ ტ ე ვ ი — (გაჯირვებით) ეგ რა მოგდის, გოგო, თითქოს მხო-  
ლოდ დღეს გამოიღიძე?

შ უ რ ა — (გასრაზებით) არ გაბედო ჩემი დაცინვა! შენ სულელი  
ხარ.

ლ ა პ ტ ე ვ ი — იქნებ სულელი ვიყო, მაგრამ მაინც მინდოდა გა-  
მეგო...

შ უ რ ა — გარეარა მოდის!

ლაპტევი — აბა, რძისი ნახვა არ მინდა.

შურა — წავიდეთ... ჩქარა.

ლაპტევი — (მხარზე ხელს მოხვევს) მართლა და მართლა, რა მოგვიდა?

(გვიდნენ და კარი გარეუჩეს).

ვარვარა — (გაიგონა, როგორ გაიჩარუნა კარის კლიტებ, მივა, სანულურს გასინჯავს). შენა ხარ, გლაფირა? (პაუზა) იქ არის ვინმე? იღუშალება... (ჩქარა მიღის).

(შურა დონატს მოათრევს).

დონატი — სად მიმათრევ, შურქა...

შურა — დაიცა! თქვი, მამაჩემს ქალაქში პატივს სცემენ?

დონატი — მდიდარ კაცს პატივს ყველგან სცემენ. შენ სულ აცილდა...

შურა — პატივს სცემენ თუ ეშინათ?

დონატი — თუ არ შეეშინდებათ, არც სიყვარული ექნებათ.

შურა — კი მაგრამ რისთვის უყვართ?

დონატი — უყვართ. რისთვის, არ ვიცი.

შურა — იცი კაი, რომ უყვართ?

დონატი — ის? როგორ გითხრა? მეეტლეებს თითქოს უყვართ, იმათ არ ევაჭრება, რამდენს სთხოვენ, იმდენს აძლევს. მეეტლე კიდევ, რა თქმა უნდა, სხვას ეტყვის. პოდა, ეგრეა....

შურა — (ფეხის ბაჟუნით) დამცინი?

დონატი — რათა? სიმართლეს ვამბობ.

შურა — შენ ძალიან გაავდი! სულ სხვა კაცი გახდი!

დონატი — როგორი უნდა ვიყო! დამაგვიანდა.

შურა — შენ მამას აქებდი.

დონატი — არც ახლა ვაგინებ. ყველას თავისი ნაკლი აქვს.

შურა — ყველანი მატყუარები ხართ.

დონატი — (თავჩალურული ამოიხრებს) ნუ ჯავრობ! გაბრაზებით ვერაფერს დაამტკიცებ.

შურა — გასწი! გამიგონე, გლაფირა... ვიღაც მოძვრება... (ფარდის უკან დაიმალება).

(შემოიტის ალექსეი ღოსტიგევეი, პეტრიკი, ალევი გალიფე, შეეღურო კურტაკა, სულ თამაშით და ჯაბეებით გაწყობილი).

ალექსეი — თქვენ სულ ლამაზდებით, გლაშა.

გლაფირა — (პირქუშალ). სასიამოვნო მოსასმენია.

ალექსეი — ჩემთვის არასასიამოვნოა (გზის გადაუღობავს გლაფირის). არ მომწონს კარგი, თუკი ჩემი არ არის.

გლაფირა — ჩამომეხსენით, გეთაყვა.

ალექსეი — მიბრძანდი. (მოქნარებით შეხედავს საათს).

(შემონის ანტონინა, კოტა ხის შემდეგ — ტიატინი).

შურა — შენ, მგონი, მოახლე გოგოებსაც ეკურქურები?

ანტონინა — მაგისათვის სულ ერთია, თუ გინდა თევზი იყოს.

ალექსეი — მოახლე გოგოებს რომ ტანთ გახადო, ბატონიანთ ქალებს არაფრით არ დაუვარდებიან.

ანტონინა — გესმის? ახლა ისე ლაპარაკობს, თითქოს ფრონტზე კი არ იყო, დუქანში ეგდო...

შურა — წინათაც ეგეთი უქნარა იყო, მაგრამ ენით ეგეთი გულადი არ გახლდათ.

ალექსეი — საქმეშიც მომდგამს გულადობა.

ანტონინა — რას ტყუის! ლაჩარია, ლაჩარი. ეშინია, დედინა-ცვალმა არ შეაცდინოს.

ალექსეი — რას როშევ, სულელ!

ანტონინა — თანაც აუტანლად ძუნწია. იცი, იმ დღეს, როცა სიბილშეს არ მეტყვის, ოც კაბიკეს ვაძლევ. ესეც იღებს!

ალექსეი — ტიატინ! თქვენ მოგწონთ ანტონინა?

ტიატინი — დიახ, ძალიან.

შურა — მე?

ტიატინი — სიმართლე გითხრათ?

შურა — რა თქმა უნდა, სიმართლე!

ტიატინი — მაინცდამაინც არა.

შურა — უყურე! ეგ მართალია?

ტიატინი — დიახ.

ანტონინა — არ დაუჯერო, ეგ გამოძახილიერ გაიმეორა.

ალექსეი — თქვენ, ტიატინ, ნეტამც ანტონინა შეგერთოთ, სწორედ თავი მომაბეზრა.

ანტონინა — აი ხეპრე! გასწი აქედან! ორსულ მოსარეცხეს ჰგავხარ.

ალექსეი — (წელზე ხელს მოხვევს). იფ! არისტოკრატო! ნუ შეჰიმონ... მზისუმშირონ... სე მოვეტონ!

ანტონინა — თავი დამანებელ!

ალექსეი — სიამოვნებით (ცავავს ანტონინასთან ერთად).

შურა — იქნებ სულაც არ მოგწონვართ, ტიატინ?

ტიატინი — რისთვის გინდათ ეგ იცოდეთ?

შურა — მინდა. მაინტერესებს.

ალექსეი — რა პირი დაგილია? მაგას უნდა, რომ შეირთო. ახლა

1 სე მოვეტონ — ეს ცუდი ტონია (ფრანგ.).

ყმაწვილი ქალები სულ იმას ფიქრობენ, როგორმე გმირთა ქვრივები გავხდეთო. რადგან — ულფა, შარავანდედი, პესია...

ა ნ ტ ო ნ ი ნ ა — მაგას ჰგონია, რომ ეგ გონებამახვილობად ჩამოერთმევა.

ა ლ ე ქ ს ე ი — ჩემს გზას ვეწვი. ტონკა, გამაცილე მისაღებოთახამდე.

ა ნ ტ ო ნ ი ნ ა — არ მინდა!

ა ლ ე ქ ს ე ი — მე მინდა. სერიოზულად, წამო!

ა ნ ტ ო ნ ი ნ ა — ალბათ, რაიმე სისულელე იქნება.

შ უ რ ა — ტიატინ, თქვენ სამართლიანი ადამიანი ხართ?

ტ ი ა ტ ი ნ ი — არა.

შ უ რ ა — რატომ?

ტ ი ა ტ ი ნ ი — სამართლიანობა ხელს არ მაძლევს.

შ უ რ ა — თუკი თქვენ ეგრე ლაპარაკობთ, მაშ სამართლიანი ყოფილხართ. აბა ახლა ერთბაშად მითხარით: თქვენ გირჩიეს, შურას ცოლობა სთხოვეო?

ტ ი ა ტ ი ნ ი — (თამაჯოს გააბოლებს, ცოტა მოვეიანებით პასუხობს). მირჩიეს.

შ უ რ ა — მერე თქვენ გესმით, რომ ეს ცუდი რჩევაა?

ტ ი ა ტ ი ნ ი — მესმის.

შ უ რ ა — ნუთუ თქვენ... არ მგონია! მე ვფიქრობდი, თქვენ...

ტ ი ა ტ ი ნ ი — ცუდი იფიქრეთ ალბათ.

შ უ რ ა — არა, თქვენ შესანიშნავი ხართ! იქნებ ცბიერობთ? მართალ კაცს თამაშობთ, რომ მერე მომატყუოთ.

ტ ი ა ტ ი ნ ი — ძალა არ მეყოფა. თქვენ ჭკვიანი, ავი და ანცი ხართ მამათქვენივით. სიმართლე გითხრათ, თქვენი მეშინია. ისეთი წითური ხართ, როგორიც ეგორ ვასილევიჩია. სახანძრო მაშხალას ჰგავხართ.

შ უ რ ა — ტიატინ, თქვენ კარგი ვინმე ბრძანდებით, ან არადა საშინელი ეშმაკი ხართ.

ტ ი ა ტ ი ნ ი — სახეც არაჩვეულებრივი გაქვთ.

შ უ რ ა — სახეზე იმიტომ ჩამოაგდეთ ლაპარაკი, რომ ლახვარი შეამსუბუქოთ! არა, თქვენ ეშმაკი ხართ!

ტ ი ა ტ ი ნ ი — როგორც გინდათ, ისე იფიქრეთ. ჩემი აზრით, თქვენ უსათურდ რაღაც ბოროტს ჩაიდენთ. მე შევეჩიე ხელაპყრობილ ცხოვრებას, თითქოს დამნაშავე გოშია ვიყო.

შ უ რ ა — რა დანაშაული მიგიძლვით?

ტ ი ა ტ ი ნ ი — არ ვიცი. იქნებ ის, რომ გოშია ვარ, კბილები არ მაშვს, კბენა არ შემიძლია.

ა ნ ტ ო ნ ი ნ ა — (შემოდის). სულელმა ალიოშკამ კინალამ ამაგლიჯა ყური... ფულიც ყალთაბანდივით ამწაპნა. სმას გადაცყვება ნამდვილად! მე და ეგ ისეთი უმაქნისნი ვართ, ვაჭრუკანის ნაშიერნი. გეცინება არა?

შ უ რ ა — ტონია, დაივიწყე, რაც მაგაზე შენოვის ცუდი მითვამს.

ა ნ ტ ო ნ ი ნ ა — ტიატინზე? კი მაგრამ, რა გითქვამს? აღარ მანსოეს.

შ უ რ ა — აი, რომ ჩემი ცოლად შერთვა უნდა...

ა ნ ტ ო ნ ი ნ ა — მერე აქ რაც ცუდი?

შ უ რ ა — ფულისათვის.

ა ნ ტ ო ნ ი ნ ა — ჰო, ეგ კი! ეგ ღორობაა, ტიატინ!

შ უ რ ა — სამწუხაროა, რომ შენ არ მოგისმენია, როგორ მპასუხობდა შეკითხვებზე.

ა ნ ტ ო ნ ი ნ ა — ვარუმული სიტყვებია. გახსოვს შუბერტის „ვარუმი“?

ტ ი ა ტ ი ნ ი — განა შუბერტისაა?

ა ნ ტ ო ნ ი ნ ა — ვარუმი ძალიან გავს მარაბუ-ჩიტს, არის ასეთი უსახური ფრინველი... აფრიკაში.

შ უ რ ა — მაგას რაებს იგონება?

ა ნ ტ ო ნ ი ნ ა — მე ძალიან მიყვარს საშიშარი რამ. როცა რამე საშიშარია, ის უკვე მოსაწყენი არ არის. მიყვარს ბნელში ჯდომა და ცდა, აბა როდის შემოცოდება დიდი გველი...

ტ ი ა ტ ი ნ ი — (ქირქილო). ეგ რომელი, სამოთხეში რომ იყო?

ა ნ ტ ო ნ ი ნ ა — არა, უფრო საშინელი.

შ უ რ ა — რა მაქციერა ხარ. ყოველთვის გამოიგონებ რაიმე ახალს, დანარჩენები სულ ერთსა და იმავეს გაიძახიან: ომი — რასპუტინი — დედოფალი — გერმანელები, ომი — რევოლუცია...

ა ნ ტ ო ნ ი ნ ა — შენ იქნები მსახიობი ანდა მონაზონი.

შ უ რ ა — მონაზონიო? სისულელეა!

ა ნ ტ ო ნ ი ნ ა — მონაზვნად ყოფნა ძალიან ძნელია, ყოველთვის ერთი და იგივე როლი უნდა ითამაშო.

შ უ რ ა — მე მინდა ისეთი კახა ეყიყ, როგორიც ზოლას ნანაა.

ტ ი ა ტ ი ნ ი — აი თურმე რა გქონიათ გუნებაში! ფუი!

შ უ რ ა — მე მინდა გავხრწნა ხალხი, შური ვიძიო.

ტ ი ა ტ ი ნ ი — ვისზე იძიო შური? რისთვის?

შ უ რ ა — იმიტომ, რომ მე წითური ვარ... იმიტომ რომ მამაჩე-მი ვეადა... ყველაფრისათვის! აი, რევოლუცია რომ დაიწყება, მაშინ ავუშვებ აფრებს! ნახავთ!

ა ნ ტ ო ნ ი ნ ა — შენ გჯერა, რომ რევოლუცია იქნება?  
 შურა — კი, მჯერა!  
 ტ ი ა ტ ი ნ ი — რევოლუცია იქნება.  
 გ ლ ა ფ ი რ ა — შურა, დეიდა მელანია ჩამოვიდა, ეგორ ვასილე-  
 ვის უნდა აქ მიიღოს.  
 შურა — უფ, დეიდა! აბა ჩემთან გავიქცეთ, ახალგაზრდებო! ტია-  
 ტინ, თქვენ ძალიან პატივს სცემთ თქვენს ძმას?  
 ტ ი ა ტ ი ნ ი — ის ჩემი ბიძაშვილია.  
 შურა — ეგ პასუხი არ არის.  
 ტ ი ა ტ ი ნ ი — ვგონებ, ნათესავები საერთოდ ნაკლებ პატივს  
 სცემენ ერთმანეთს.  
 შურა — აი, მესმის პასუხი!  
 ა ნ ტ ო ნ ი ნ ა — შეწყვიტეთ მოსაწყენი ბასი.  
 შურა — ძალიან სასაცილო ხართ, ტიატინ!  
 ტ ი ა ტ ი ნ ი — რა გაეწყობა.  
 შურა — სასაცილოდ იცვამთ.  
 (გვიდნენ. გლაფირა კარს აღებს. იმ კარში, სადაც გავიღნენ ახალგაზრდები,  
 ეგორ ბულიჩოვი დგას. დარბაისლურად შემოდის იღუმენია მელანია, ხელში კვერ-  
 თხი აქვს. გლაფირა თვედახრილი დგას და ხელით კარის ფარდა უჭირავს).  
 მ ე ლ ა ნ ი ა — კიდევ აქა ხარ, მრუშო? არ გაუგდიხართ? მალე  
 გაგაგდებენ!  
 ბ უ ლ ი ჩ თ ვ ი — მაშინ მონაზვნად წაიყვანე. მაგას ფული აქვს.  
 მ ე ლ ა ნ ი ა — ა, შენ ხარ? ჰოი, ეგორ, როგორ გამოცვლილხარ,  
 ღმერთო ჩემო!  
 ბ უ ლ ი ჩ თ ვ ი — გლაშა, დაკეტე კარი, რომ აქეთ არ შემოძვრენ,  
 დაჯექი... უღირსესო! რომელ საქმეზე ვილაპარაკოთ?  
 მ ე ლ ა ნ ი ა — ვერა გშველიან ექიმები? ხედავ, უფალი ითმენს  
 ერთი დღე, ითმენს ერთი წელი, ერთი საუკუნე...  
 ბ უ ლ ი ჩ თ ვ ი — ღმერთის ამბავი — შემდეგ, ახლა — საქმეზე.  
 ვიცი, ჩამოხვდი, რათა შენს ფულზე ილაპარაკო.  
 მ ე ლ ა ნ ი ა — ფული ჩემი არა, მონაცტრისაა.  
 ბ უ ლ ი ჩ თ ვ ი — ეგ სულ ერთია. რა გაწუხებს? გეშინია —  
 მოვევდები და ფული დაგეკარგება?  
 მ ე ლ ა ნ ი ა — დაკარგვით არ დამეკარგება, მაგრამ არც ის მინდა,  
 რომ სხეის ხელში ჩავარდეს.  
 ბ უ ლ ი ჩ თ ვ ი — მაშ, საქმიდან გინდა ამოილო? ჩემთვის სულ  
 ერთია, ამოილე. მაგრამ იცოდე, წააგებ! ეხლა მანეთი ისე მრავლდება,  
 როგორც სალდათის ტილი. თანაც ისე ცუდად არა ვარ, რომ მოვ-  
 კვდე...

მ ე ლ ა ნ ი ა — არა ვუწყით არცა დღე, არცა უამი, ოდეს მოვა  
 სიკვდილი. ანდერძი თუ დაგიწერია?  
 ბ უ ლ ი ჩ თ ვ ი — არა!  
 მ ე ლ ა ნ ი ა — დროა. დაწერე! ვაითუ უფალმა გიხმოს...  
 ბ უ ლ ი ჩ თ ვ ი — რაში ვესაჭიროები?  
 მ ე ლ ა ნ ი ა — კადინერება შენი დაუტევე! იცი, რომ მაგის მოს-  
 მენა არ მიყვარს და თანაც ჩემი პატივი...  
 ბ უ ლ ი ჩ თ ვ ი — კარგი ერთი, გეყოფა, მალაშა! ერთმანეთს  
 შემწვარ-მოხარულს ვიცნობთ, ფული წაიღე. ბულიჩოვს ბეკრი აქვს.  
 მ ე ლ ა ნ ი ა — კაპიტალის საქმიდან ამოლება არ მსურს, თამა-  
 სუქები კი აქსინიაზე მინდა გავაფორიშო. ის აჩას გატყობინებ წინას-  
 წარ.  
 ბ უ ლ ი ჩ თ ვ ი — ეგრე იყოს, ეგ შენი საქმეა. მაგრამ ვინიცობაა  
 მოვევდი, ზეონცოვი აქსინის გაფუქვნის. ვარვარა კი ხელს მოუმარ-  
 თავს...  
 მ ე ლ ა ნ ი ა — ეგ როგორ ალაპარაკდი? თითქოს ახლებურად?  
 ბრაზი აღარ ვეტყობა.  
 ბ უ ლ ი ჩ თ ვ ი — ჩემი ბრაზი სხვა მხარეს მიემართე. აბა მოდი,  
 ახლა ღმერთზე ვილაპარაკოთ, უფალზე, სულზე.  
 მე ახალგაზრდას ბეკრზე ბეკრი მიავეაცია,  
 მაგრამ დავბერდი, ახლა სულზე უნდა ვიფიქრო...  
 მ ე ლ ა ნ ი ა — აბა... რა გაეწყობა, ილაპარაკე!  
 ბ უ ლ ი ჩ თ ვ ი — აი, შენ, მაგალითად, ღმერთს ემსახურები  
 ღლიისთ და ღამით, როგორც გლაფირა მემსახურება მე.  
 მ ე ლ ა ნ ი ა — ნუ მკრხელობ! ჰქუა დაპარაგე? გლაფირა ღამით  
 როგორ გემსახურება?  
 ბ უ ლ ი ჩ თ ვ ი — გითხრა?  
 მ ე ლ ა ნ ი ა — ნუ მკრხელობ-მეთქი, გეუბნები! გონს მოდი!  
 ბ უ ლ ი ჩ თ ვ ი — ნუ ღრიალებ! მე ხომ უბრალოდ გელაპარაკე-  
 ბი, გაზეპირებულ ლოცვებს არ გეუბნები. აღამიანური სიტყვებით  
 მოგმართავ. აი, გლაფირას უთხარი: მალე გაგაგდებენო. მაშ გჯერა,  
 რომ მალე მოვკვდები? ეგ რისთვის? ვასკა ღოსტიგაევი ცხრა წლით  
 ჩემზე უფროსია და ცოტათი უფრო თალღითი, მაგრამ ჯანხეა და  
 იცოცხლებს. ცოლი პირველი ხარისხისა ჰყავს... მე, რა თქმა უნდ,  
 ცოდვილი ვარ, ხალხი დამიჩარჩავს და საერთოდ... ყოველ მხრივ ცოდ-  
 ვილი ვარ. მაგრამ ყველანი ერთმანეთს ჩაგრავენ, სხვანაირად არ იქ-  
 ნება, ასეთია ცხოვრება.  
 მ ე ლ ა ნ ი ა — შენ ჩემ წინაშე, ხალხის წინაშე კი ნუ ინანიებ.  
 ღვთის წინაშე მოინანიე. ხალხი არ გაპატივებს. ღმერთი კი მოწყა-

ლეა. თვითონ იცი: ქველ დროს ყაჩალები სცოდავდნენ, ხოლო როგორც კი მიაგებდნენ უფალს უფლისას — მოიპოვებდნენ სულს.

ბ უ ლ ი ჩ თ ვ ი — მაშ ესე, თუ ფულს მოიპარავ და ეკლესიას მისცემ, ქურდი კი არა, წმიდანი იქნები.

